წელიწადი 1-ლი   გაზ. ფასი 3 შაური.   ტელეფონი № 76.   სამშაბათი ნოემბერს 28 (10) 1917


# ჩვენი ქვეყანა


გაზეთის ფასი:
თვეში . . . 3 მ. ნ.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნომერი . . . [illegible]
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლარი . . . 2 მანეთი.
უკანასკნელ გვერდზე [illegible]
ქალაქ გარედან [illegible]
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 1 საათ. 8 მ, 1 საათის შემდეგ 10 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 186   ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი   № 186



ღრმად დამწუხრებულნი მშობლები სასამართლოს ბოქაული სეით როსტომის ძე ბოჭორიშვილი და მეუღლე მისი ნადეჟდა, შვილები: ვალიკო, ზინაიდა, ნიკოლოზი, ალექსი და ვიტალი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის 5 კლასის მოწაფის

ნინას

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 30 ნოემბერს. საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოასვენებენ ნაშუადღევის 2 საათზე, საკ. ბინიდან გაბრიელის ქუჩა, სირაძის სახლი.



შაბათს, 9 დეკემბერს, 1917 წლისა,

ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის საქალებო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლათ გაიმართება

სალიტერატურო დრამატიულ მუსიკალური

საღამო

საღამოს შემდეგ ვახშამი

დაწვრილებითი პროგრამა-აფიშაში.

ყოველივე შემოწირულება ფულით თუ სანოვაგით მადლობით მიიღება.

მშობელთა წრის საქველმოქმედო სექციის თავმჯდომარე მარიამ ანჯაფარიძისა.



## განცხადება

ქ. ქუთაისის ქალაქის სასურსათო გამგეობა ამით აცხადებს, რომ ვისაც სურს ჩამოიტანოს სოფლებიდან ქ. ქუთაისში სიმინდი, სიმინდის ფქვილი და სხვა სურსათი კეთილ ინებოს და შემობრძანდენ ამავე გამგეობის დარბაზში მოსალაპარაკებლათ დილის 10—1 საათამდის

ქალაქის სასურსათო გამგეობა.



საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში, თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.



საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ (წყალ-გამოღმა) უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე ყოველ დღე დილის 11—2 საათამდის: თბილისის ქუჩა ქუთაისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების დარბაზში—სამსონ ბოკერიას სახლში. აქვე შეიძლება პარტიული პროგრამებისა და ლიტერატურის მიღება.



საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და საღამოს 5—8-დე, ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსერის 2 დამზღვევ საზოგადოების სააგენტოში. იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.



საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.



ძმ. ჭოღოშვილაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

სჯერის მივიღეთ ბორჯომის წყალი დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.



# მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს,

რომ ხსენებულ ბანკის წესდების მე-17 §-ის ძალით, ამა 1917 წლის დეკემბრის ქვემო ხსენებულ რიცხვებში, შუადღის 12 საათიდან, ბანკში ხვედრი გადასახადის შემოუტანლობის გამო, მოხდება საჯარო ვაჭრობა განუმეორებლად ბანკის მე-18 §-ის ძალით მესხებელმა უნდა შემოიტანოს პირველი ვაჭრობის დაწყებამდი ბანკის დარჩენილი კუპონილი-გადასახადი და პროცენტები ვადაზე შემოუტანლობის გამო და სხვა ხარჯები, რომელიც გამოიწვია ქონების გასაყიდათ დანიშვნამ, ხოლო თუ პირველი ვაჭრობა არ მოხდა, ყოველივე ეს მესხებელმა უნდა წარმოადგინოს მეორე საჯარო ვაჭრობის დაწყებამდის და ამნაირად გაანთავისუფლოს თავისი ქონება გაყიდვისაგან. გადასახადი ფული შეიძლება შეტანილ იქნას ვაჭრობის დღემდე: ქუთაისში ბანკის კასაში, თფილისში—ბანკის სააგენტოში, თფილისის საკომერციო ბანკში, აზოვ-დონის და ვოლგო კამის ბანკის განყოფილებაში და ა. ფრიდონოვისა და ამ. საბანკო კანტორაში; ბათომში—თფილისის და საკომერციო და შეერთებული ბანკების განყოფილებაში, ფოთში, სოხუმში და ზუგდიდში—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, ხოლო ვაჭრობის დღეს, ვაჭრობის დაწყებამდი მხოლოდ იქ, სადაც საჯარო ვაჭრობა მოხდება—ბანკის გამგეობაში ქუთაისში და ბანკის სააგენტოში თფილისში. ამასთანავე ბანკის გამგეობა სთხოვს ბ-ნ მსესხებელთ, რომ თუ დარჩენილი გადასახადი ვაჭრობის რამდენიმე დღის წინათ შეიტანიათ ბანკის რომელსამე კორესპონდენტებთან მაშინ ამ შემთხვევაში სწრაფათ დეპეშით აცნობონ გამგეობას ფულის შეტანის შესახებ იმ დაწესებულებათა საშუალებით, სადაც ფულია შეტანილი, სანამ ბანკის გამგეობა არ მიიღებს დეპეშით ცნობას კორესპონდენტთაგან ფულის შეტანის შესახებ, ფული შემოტანილად არ ჩაითვლება და ამიტომ გამგეობა უძრავ ქონებას ვაჭრობიდან არ მოხსნის. ბანკის მე-19 §-ის თანახმად, როგორც პირველი, ისე მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა მოხდება იმ უძრავ ქონების გასაყიდად, რომელიც თფილისსა და თფილისის გუბერნიაშია და აგრეთვე ქ. ყარსში, ბანკის სააგენტოში ქ. თფილისში, ფრეილინის ქუჩაზე სახლი № 1, ხოლო დანარჩენ ქონებათა გასასყიდად—ბანკის სადგომში, ქ. ქუთაისში, თფილისის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. ბანკის მე-2 ის § ძალით ვაჭრობა დაიწყება იმ ჯამით, რომელიც შესდგება ქონებაზე დარჩენილ სხვა და სხვა ხარჯებით, რომელიც გამოწვეულია საჯარო ვაჭრობის გამო და ბანკის მიერ მსესხებლის ხარჯებით და აგრეთვე ისეთი გადასახადებით, რომელსაც უპირველესობა აქვს კანონის ძალით მინიჭებული. ძირითადი ვალი შეიძლება გადატანილ იქნას მყიდველზე, ან გადახდილ იქნას. ხოლო ყოველი გვარი დარჩენილი გადასახადი შეტანილ უნდა იქნას ნაღდ ფულად. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა ვაჭრობის დაწყებამდის უნდა წარმოადგინოს ბე, რომელიც უნდა უდრიდეს დარჩენილ გადასახადებს და სხვა ხარჯების ჯამს, რომელიც ქონებაზე ირიცხება. ბე უნდა იქნეს წარმოდგენილი ან ნაღდ ფულად, ან სახელმწიფო და მთავრობისაგან უზრუნველყოფილ ქაღალდებით, აგრეთვე იმ ბანკის საგირაო ფურცლებით, რომელიც ყიდის მამულს. პროცენტებიანი ქაღალდები და საგირაო ფურცლები მიიღებიან იმ შეფასებაში, რომელიც გადაწყვეტილია ფინანსთა მინისტრის მიერ მამულის უსასყიდლოდ ვადასვლის დროს გადასახდელ ბაჟად.

ბანკის წესდების მე 21 ის ძალით ვაჭრობა გათავებულად უნდა ჩაითვალოს, თუ მყიდველის მიერ შეძლებული ფასი დაფარავს იმავე წესდების მე 20 §-ში აღნიშნულ ვალს დარჩენილ გადასახადს და ხარჯებს საჯარო ვაჭრობაზე შეძლებული ფასი წარდგენილი ბეის და მისი მთავარი ვალის გამოკლებით და აგრეთვე შეძენილი მამულის დასამტკიცებელი ბაჟი მყიდველმა უნდა შემოიტანოს არა უგვიანეს 14 დღისა საჯარო ვაჭრობიდან. იმ შემთხვევაში თუ მყიდველი თოთხმეტი დღის განმავლობაში არ შეასრულებს ამ პირობას ის დაკარგავს წარდგენილ ბეს, ხოლო მამული უწინდელი პატრონის სახელზე დარჩება, როგორც პირველი, ისე განმეორებითი ვაჭრობა იქნება მხოლოდ სიტყვიერი, დაბეჭდილი კონვერტებით წარდგენილი ფასები არ მიიღება არავითარი უპირატესობა საჯარო ვაჭრობაზე—არ ეძლევათ იმ პირთ, რომელთაც ბანკის შემდეგ დამატებითი გირავნობა აქვთ. ამით შეუძლიათ მონაწილეობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლია ბანკის გამგეობაში ინახულოს გასაყიდის მამულის საქმის წარმოება ყოველ დღე, კვირა საქმეების გარდა, დილის ათი საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის.

პირველი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია:

4 დეკემბერს—უძრავ ქონებათა, რომელნიც ქ. თფილისში, თფილისის გუბერნიაში და ქ. ყარსშია.

8 დეკემბერს—რომელნიც ქ. ქუთაისშია;

12 დეკემბერს—რომელნიც სხვა და სხვა ქალაქებშია და დაბებშია ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის და სოხუმის

15 დეკემბერს—რომელნიც ქუთაისის გუბერნიის, ბათომის და სოხუმის ოლქების სოფლებშია და აგრეთვე იმ მამულების, რომელზედაც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი.

მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია:

10 დეკემბერს—უძრავ ქონებათა, რომელნიც ქალ. თფილისშია, თფილისის გუბერნიაში და ქ. ყარსშია;

23 დეკემბერს—რომელნიც ქ. ქუთაისშია.

28 დეკემბრს—სხვადასხვა ქალაქებში და დაბებშია ქუთაისის გუბერნიისა, ბათომისა და სოხუმის ოლქებისა;

30 დეკემბერს—რომელნიც ქუთაისის გუბერნიის, ბათომის და სოხუმის ოლქების სოფლებშია და იმ მამულებისა, რომელზედაც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი.

3—1


## რა მოხდა?

მკითხველო, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არა ერთხელ და ორჯელ ამოიკითხავდი ჩვენს გულითად სურვილს და ცხად მისწრაფებას, რომ ჩვენში მოქმედი პარტიები შეერთებულიყვნენ, შეკავშირებულიიყვნენ და საერთო ძალღონით დაეცვათ საყვარელი სამშობლო. ჩვენ ეჭვი არა გვქონია, რომ სამშობლო ყველას უყვარდა, ჩვენ ყოველთვის იმედი გვქონდა, რომ სამშობლოს სიყვარული ყველას უზენაეს ძალას შთაბერავდა, ჩვენ ღრმათ გვრწამდა, რომ ეროვნული სული მოსვენებას არავის მისცემდა, როცა სამშობლო განსაცდელში ჩავარდებოდა, მაგრამ გვეჩქარებოდა შეერთება მალე მომხდარიყო და ჩვენი ცალცალკე მოქმედებით მტერს არ ესარგებლნა. გვეჩქარებოდა ერთ ფერხულში ჩაბმული დაგვენახა ჩვენი მოქმედი ძალები და ერთი გზით გაგვეშვა ყველა სამშობლოს საკურთხეველზე მსხვერპლის მისატანათ. ჩვენ ვიცოდით, რომ ასეთი მოვალეობა მტერს თვალს მოსთხრიდა და სამშობლოს გვირგვინს დაადგამდა.

ეს გვინდოდა, ამას ვნატრობდით და და სულით და გულით აქეთ მოვეშურებოდით.

ასრულდა სანატრელი წუთი და 19 ნოემბერს ჩემს თვალს წარმოუდგა დიდებული სურათი, სურათი რომლის გადმოცემას მოკლეთ ენაც ვერ შესძლებს.

სამშობლოს სიყვარულმა, მამულის სამსახურმა, მომენტის შეგნებამ, მკაცრმა სინამდვილემ და სხვა მრავალმა ხელის შემწყობმა გარემოებამ ისეთი სულიერი განწყობილება დაბადა, რომ მთელი ქართველი ერის შვილები სხვადასხვა კუთხიდან მოსული, სხვადასხვა წოდებისა, პოლიტიკური რწმენისა და სოციალური მისწრაფებისა ერთ ენაზე ალაპარაკა, ერთი ხატის წინაშე დაჩოქა და ერთი მრწამსი წარმოათქმევია. ძნელი საქმე იყო, გადაუწყვეტი, მაგრამ შეერთებულ ძალას ყველაფერი გაუადვილდა. შეერთებამ ძალა გააჩინა, ძალამ კი სამართლიანი ხალისი გამოიწვია და ნამუშევარს საიმედო პირი გამოუჩნდა. ვიგრძენით, რა ყოფილა შეერთება, დავინახეთ, რა ყოფილა შეთანხმება და, თუ შევირჩინეთ ეს თავისუფლება, დავრწმუნდებით, რომ გამარჯვებას მოგვიტანს ერთობა.

ეროვნულმა ყრილობამ დასდვა საფუძველი განახლებული საქართველოს შენობისა. ეროვნულმა ყრილობამ ჩაუყარა საძირკველი საქართველოს ავტონომიასა და აწი შეგნებული მუშაობით, რის ნასახიც უკვე სჩანს, თანდათან აშენდება ახალი ცხოვრება.

ეროვნულ ყრილობაზე დაიწერა ქართველი ერის დეკლარაცია და მისი მომავალი უზრუნველყოფილია. ერთი პირით ითქვა ის, რაც მოხდა და ერთი გულით წარმოშვა, მისი შეცვლა შეუძლებელია ამას მომავალი დაამტკიცებს და დაადასტურებს.

ნინო ლევანის ასული და ვასილ მიხეილის ძე ქიქოძენი გულითადს მადლობას უძღვნიან ყველა ნათესავებს და ნაცნობებს, ვინც პირადის დასწრებით ან წერილობით თანაგრძნობა გამოუცხადეს პირველის საყვარელის მეუღლის, ხოლო მეორის ძვირფასი მამის

**მიხეილ ათანასეს ძის ქიქოძის**

გარდაცვალებისა გამო.

---

მოხდა ის, რაც **უნდა** მომხდარიყო; მოხდა ის რაც **ყველას** უნდოდა, მაგრამ დღემდი არ ხერხდებოდა. მოხდა ის, რასაც მოველოდით. ასრულდა ის რასაც **ყველა ვგრძნობდით**, მაგრამ მარტო ზოგიერთნი ვამბობდით.

დღეს გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეროვნული საკითხი ჩვენში სასურველათ გადაიჭრა და პოლიტიკური ცვლილება ჩვენ სასურველით დაბოლოვდება. აწი უნდა ვეცადოთ, რომ სოციალური საკითხი მოგვარდეს და უეცარმა ნაბიჯმა ცხოვრება არ წაგვიმწაროს. უნდა ვეცადოთ, რომელიმე თეორეტიულმა მოძღვრებამ ცხოვრების სინამდვილე არ აანგრიოს და საქმე არ გაგვიფუჭოს.

სიცყვით ბევრი რამ ითქმის, ამგრამ **საქმით** ცოტა რამ ასრულდეტა. დღევანდელ სოციალისტურ აზროვნებას რომ გავყვეთ და სიტყვები საქმეთ ვაქციოთ სამშობლოს განსაცდელში ჩავაგდებთ და ეგებ ისეთ ხრამშიდაც ჩავაგდოთ, რომ იქიდანვეღარც ერთმა ვეღარ ამოვიყვანოთ. ამაზე დავფიქრდეთ და სხვაც დავაფიქროთ.

რაც მოხდა—ძვირფასია, რაც სახიფათოა, ის არ მოხდეს.

აი ამაზე ვიფიქროთ და ვიმუშაოთ.

იმედია აქაც საშველი აღმოჩნდება.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

---

## ქართველო ჯარისკაცნო!

19 ნოემბერს 1917 წ.

შეიკრიბა სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობა და რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოს დროებითი კონსტიტუცია შეადგინა.

ეს კონსტიტუცია საქართველოს ხალხის ნების გამოხატულებაა და, მაშასადამე საქართველოს ყველა მოქალაქისთვის სავალდებულოა არა მარტო ზნეობრივად, არამედ უფლებრივადაც.

ქართველო ჯარისკაცებო! დაემორჩილეთ საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არჩეულს ეროვნულ საბჭოსა და შეფიცეთ მას ერთგულობა! დაიცავით სასტიკი დისციპლინა და შექმენით სამაგალითო სამხედრო ორგანიზაცია! იყავით ერთსადაიმავე დროს დემოკრატები და მამულიშვილები, რესპუბლიკელები და პატრიოტები! და შეიყვარეთ სამშობლო!

ასი წლის მონობის შემდეგ ქართველმა ხალხმა პირველად სთქვა საჯაროდ თავისი სიტყვა, გამოაცხადა თავისი ნება რომლის ასრულებაც საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიანდო! ამ საბჭოს შედგენაში თანამონაწილე იყო ყველა პარტია, სოციალ-დემოკრატია და ეროვნული დემოკრატია, სოციალისტ ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები, სახალხო აღმასრულ საბჭოთა და კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. მაშასადამე, საქართველოს ეროვნული საბჭო ყველა პარტიის, ჯგუფისა, და კლასის შეთანხმების შედეგია და განვიმეორებ, მას საქართველოს ყველა მოქალაქე განურჩევლად ეროვნებისა და პოლიტიკური მიმართულებისა თანასწორად უნდა ემორჩილებოდეს.

ქართველო ჯარისკაცებო! თქვენი საყვარელი სამშობლო განსაცდელშია! არავინ იცის, საიდან, როდისა და ვინ დაესხმის თავს და გაანადგურებს მას. მაშ იყავით მზად საქართველოს დასაცავად, მისთვის სხვერპლად თავის შესაწირავად! დაემორჩილეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს!

**ვასილ წერეთელი.**

---

## ზნეობა.

როდესაც ხალხში მივდივართ, ხალხის თანადასწრებით სხვადასხვა სადაო კითხვებს ვარჩევთ ყველასათვის სავალდებულო და აუცილებელია ერთი რამ—**ზნეობა**.

პოლიტიკური პარტიები უნდა სცდილობდენ მშრომელ ხალხში მორალის შეტანა, გავრცელებას და ზრდილობა კეთილშობილობის დაცვას.

ხალხში სალი ზნეობის შენარჩუნებას მოითხოვს ყოველი ერის კეთილდღეობა.

ჩვენდა ღრმა სამწუხაროთ, ამჟამად საქართველოში დიდი საფრთხე მოელის ხალხის ზნეობას.

მიდიან ხალხთან ნაკლებ მომზადებულ ვიწრო წარმოდგენის პარტიული პროპაგანდისტები და იწყებენ იდეურ მოპირდაპირის ძაგებას შეუფერებელ სახელწოდებით მონათლას.

ერთ სოფელში პროპაგანდისტს მოწინააღმდეგისთვის დაეძახნა „შენ მატყუარა ხარ და ხალხის სამტროთ მოსულხარ“-ო. ამ დროს ერთ გლეხს ეთქვა. „ჩვენ გვეგონა ყველა მასწავლებლებათ და მრჩევლებათ მოდით, თუ თქვენ ერთმანეთის არაფერი გჯერათ, ერთმანეთი მტრათ და მატყუარათ, მიგაჩნიათ, ჩვენ წინამძღვრობას გაგვიწევთო?“.

გლეხის სიტყვა იმის მომასწავებელია, რომ ხალხს ჩვენდამი ნდობა დაეკარგება.

სოფელში წამსვლელებს მარტო ის კი არ უნდა გვქონდეს მიზნად დასახული „მე ჩავალ ამ და ამ სოფელში, ისეთ დემაგოგიით მას დავიპყრობ და გამარჯვებული დავბრუნდებიო“.

ჩვენი მთავარი მისწრაფება უნდა იყოს ხალხის ნამდვილ სატკივრის გაცნობა, შესაფერ რჩევის მიცემა, შეძლების და გვარათ დახმარება-ხელმძღვანელობა და პოლიტიკურ მოძღვრების სისწორით გადაცემა.

სოფლელები ხშირათ მოგვმართავენ „ეს და ეს კითხვა განგვიმარტეო. ამ დროს ყველანი ვცდილობთ გლეხის მრწამსი საკუთარ პარტიულ მიმართულებისკენ გადმოვხაროთ, ბევრი იმ წამსვე იწყებს მის გარდა არსებულ სხვა პარტიების ლანძღვა-გინებას და ავიწყდება ის, რომ ამით საკუთარ არსებობას უთხრის სამარეს.

თუ ხალხთან მივდივართ მხოლოდ იმ რწმენით, უნდა შევიქმნეთ განმსჭვალულნი, რომ მას სარგებლობა მოუტანოთ, მისი გონება გავშალოთ, გათვითცნობიერების გზაზე დავაყენოთ, და თუ ასეთი მიზანი გვაქვნა მაშინ ჩვენ ხალხს სიმართლე უნდა უთხრათ.

ბაქიობა, გინება აურაცხელის დაპირება უარყოფითად მოქმედებს ხალხზე.

ხალხი, რომელიც სარგებლიანობის საზომით სჭვრეტს ამა თუ იმ მოვლენას, მალე დაინახავს დაპირების ფუჭობას.

გავითვალისწინოთ, რა ხდება ბევრი დაპირების გამო რუსეთში.

ესერებმა გლეხებს უთხრეს: „მიწა და თავისუფლება“, ბოლშევიკებმა „საჭმელი ზავი და პური“. სინამდვილეში კი, ხალხის საკეთილდღეოთ არაფერი სრულდება.

მშვენიერმა ლოზუნგებმა ანარქიის ცეცხლი დაანთეს, და ამ ცეცხლში იგივე გლეხობა იწვის. ეს გარემოება თანდათან აფხიზლებს გლეხებს, გზა აბნეულობა ისპობა და დღეს რუსეთის გლეხობა არც ერთ პარტიას არ ენდობა.

უბედურება საშვილიშვილო დანაშაული იქნება, რომ მავვარი რამ მოხდეს საქართველოშიც.

ჩვენს პარტიებს, რაც უნდა უძლური არ უნდა იყოს იგი, ცოტაოდენი მომხრე ყველგან აღმოუჩნდება.

თუ პარტიამ თავის ვიწრო ქადაგით ეს მომხრეები სხვა პარტიის მომხრეთ შეაძულა გადაჰკიდა, ეს დალატი ხალხის გარყვნა იქნება.

ხალხის პარტიულათ დაყოფა არავის არ უნდა აინტერესებდეს და არავინ არ უნდა ისწრაფოდეს პარტიულ გამარჯვებისთვის.

ხალხს აეხსნას ყველა პოლიტიკურ პარტიის მისწრაფება და მერე თვითონ იცის, რომელ გზას დაადგება.

თორემ ერთმანეთთან კინკლაობით ზშირათ იარაღით მუქარით კი რომ გავავრცელოთ ჩვენი იდეა, ეს ქვეყნის დაღუპვა იქნება ჩვენს ქვეყანაში შევქმნით ისეთ მდგომარეობას, რომლის შესახებაც იტყვიან: „ჰომო ჰომინი ლუპუს ესტ“ (კაცი კაცის მგელიაო). მერე ვისთვის იქნება ეს სასურველი?

ხალხის ზნეობა, ხალხის სალ განწყობილების შენარჩუნება ჩვენი ეროვნულ ცხოვრებისთვის ერთ მთავარ საჭიროებას წარმოადგენს.

ხალხში ზნეობის შეტანა, ხალხის გაკეთილშობილება, მისი ზრდილობის დაცვა!..

დაე ყველამ შეიგნოს ეს რადგან ამას მოითხოვს ინტერესი და მომავალი საქართველოსი.

**ირ—დი.**

---

## რუსული პრესა.

„ვოლია ნაროდა“ ყურადღებას აქცევს დროებითი მთავრობის არასოციალისტთა წევრების შეპყრობას, ამისთანა მოქმედების გაგრძელებას.

„რისთვის იტანჯვიან ტყვეობაში არა სოციალისტური მინისტრები?

ნუ თუ მათ მოაწყვეს მკაცრი სასაკლაო მოსკოვის და პეტროგრადის ქუჩებში, და ნუ თუ მათ გახვიეს ქვეყანა სამოქალაქო ომში?

ნუ თუ მათ დაასამარეს სოციალისტური და არა სოციალისტური პრესა?

ნუ თუ მათ შემოიღეს თვითგასამართლება?

ნუ თუ მათ გაძარცვეს ბანკები?

ნუ თუ მათ მოხსნეს წესი სიტყვის კრების თავისუფლების, და პიროვნების ხელშეუხლებლობის?

ნუ თუ მათ ჩაშალეს ნახევრად დამფუძნებელი კრების არჩევნები?

ნუ თუ მათ გადასცეს რუსეთი ვილგელმს და სეპარატიულ ზავზე მოლაპარაკება გამართეს ვინდემბურგთან და ამით უღალატეს მოკავშირეთ და რუსეთის დემოკრატიას?

**რისთვის არიან იგინი შეპყრობილი?** იმიტომ, რომ ლენინს, ზინოვიევს და ტროცკის ეშინიათ ბურჟუების გამომჟღავნების, და მინისტრებს ამწყვდევენ პეტრე-პავლეს ციხეში იმიტომ, რომ იგინი სოციალისტები არ არიან“.

გაზეთი მოუხმობს რევოლუციის ბელადებს, რომლებიც სიჩუმით შეჰყურებენ:

„რაზომ სამარცხვინოა, თუ დემოკრატია შიშის გამო შეურიგდება უდიდეს უსამართლობას, რომელსაც მისი სახელით ჩადიან, რაზომ სირცხვილია, თუ ის შეურიგდება ხალხის დევნას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სოციალისტები არ არიან“.

სჩანს, რომ მათ არავითარი სირცხვილის არ ეშინიათ.

---

# საქართველოს ეროვნული ყრილობა

**მეოთხე დღე.**

**რეზოლუციების დამტკიცება.**

სხდომას ხსნის ნ. ჟორდანია, ამცნობს ყრილობას, რომ ყრილობის მიერ არჩეულ სექციებმა მუშაობა დაამთავრეს, და რეზოლუციები უკვე შედგენილია. ნ. ჟორდანია ყრილობას ურჩევს რეზოლუციები ერთხმად მიღებულ იქნას. ამის შემდეგ წაკითხულ იქმნენ შემდეგი რეზოლუციები:

**პოლიტიკურ მომენტზე** ვლ. გობეჩიას მიერ, **საფინანსო პოლიტიკის** ნ. ნიკოლაძის მიერ, ქონების აკ. ჩხენკელის მიერ, **ადმინისტრაციის** გრ. გიორგაძის მიერ, სკოლის ლ. ნათაძის მიერ, **ხელოვნების** შ. დადიანის მიერ, **სამხედრო** ი. გედევანიშვილის მიერ, **ჯანმრთელობის** პრივ.-დოც. ალ. ჯავახიშვილის მიერ, სურსათისა—წერეთლის მიერ. ყველა წარმოდგენილი რეზოლუციები ყრილობის მიერ დამტკიცებული იქმნა.

**მილოცვები.**

რეზოლუციების დამტკიცების შემდეგ წაიკითხეს მისალოცი დეპეშები, მათ შორის სომხის მწერლის ოვანეს თუმანიანისა, რომელიც აქვე ეროვნულ ყრილობაზე იყო. ყრილობა მას მხურვალე ტაშით მიეგება. მისალოცი სიტყვა წარმოსთქვა ამიერ კავკასიის მუსულმანთა კომიტეტის სახელით თოპჩიბაშევმა. ამიერ კავკასიის მუსულმანთა კომიტეტს, რომელიც მთელი თავისი შემადგენლობით ლოჟაში იყვნენ, ყრილობა მხურვალე და ხანგრძლივი ტაშის ცემით მიეგება. ქართველთა ებრაელების მხრივ ილაპარაკა ქუთაისის ებრაელების წარმომადგენელმა, ჟურნალისტმა ი. ხანანაშვილმა. ქართველ სომეხთა სახელით ილაპარაკა ვერმიშევმა. ყრილობა ამათაც მხურვალე ტაშით მიეგება.

**ეროვნული საბჭოს არჩევა.**

პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებით შედგენილ იქმნა სია ეროვნული საბჭოსი, ეს სია დამტკიცებულ იქმნა ყრილობის მიერ. სია შესდგება 67 პირისგან, ამათში შვიდი ადგილი ეძლევათ საქართველოს განაპირა კუთხეებს.

**სია ეროვნულ დემოკრატიის პარტიიდან**

ნიკო ნიკოლაძე, გერონტი ქიქოძე, იოსებ დადიანი, გიორგი ჟურული, გიორგი გვაზავა, შალვა ამირეჯიბი, მიხეილ მაჩაბელი, სპირდონ კედია, გრიგოლ ვეშაპელი.

**უპარტიო.**

კ. აფხაზი, კ. მაყაშვილი.

**ესერებიდან.**

პ. ქავთარაძე, ი. გომართელი, ნ. ქარცივაძე, პ. საყვარელიძე.

**მენშევიკებიდან.**

ნ. ჟორდანია, ა. ჩხენკელი, ს. ჯიბლაძე, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი ვლ. ჯუღელი, დ. ონიაშვილი, პ. აბაშიძე, კ. გვარჯალაძე, ს. მაისურაძე, ა. ჭიაბრიშვილი, პ. გელეიშვილი, რ. არსენიძე, შ. ჩხიკვიშვილი, ნ. ელიავა, მ. ტოროშელიძე, ს. ჯაფარიძე, გ. ურატაძე, ა. ფარნიაშვილი, გ. გიორგაძე, ე. როგავა. გ. კლიმიაშვილი, ვ. თევზაია, ე. სირბილაძე, ნ. ხომერიკი.

**აჭარიდან.**

ჯიბილ ბეგ ხიმშიაშვილი, მეჰმედ ბეგ აბაშიძე, რეჯ ნიჟარაძე.

**ფედერალისტებიდან.**

გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, შ. მესხიშვილი, ი. გედევანიშვილი, ს. ფირცხალავა, დ. უზნაძე, ი. ბარათაშვილი, ი. ბაქრაძე, ი. მდივანი, ა. წერეთელი.

**ერ. დემოკრატებიდან.**

დ. ჩიქოვანი.

**ს. რევოლიუციონერებიდან.**

კ. მესხი, ვ. გობეჩია, გ. ნათაძე, ვ. ჩერქეზიშვილი, იოს. გობეჩია, ივ. გობეჩია.

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ნ. ჟორდანიამ.

**ნ. ჟორდანია.** პირველ ყოვლისა მოგილოცავთ იმ აზრის გამარჯვებას, რომელიც ჩვენმა ყრილობამ გამოიჩინა ეროვნულ საკითხში (ტაში) ამ ყრილობამ დაამტკიცა, რომ ჩვენი ერი არის ერთი მთლიანი ერთეული (მხურვალე ტაში) ამ საბჭოს არჩევით შემდეგ ყრილობას დახურულად ვაცხადებ (ტაში).

**რეზოლუცია პოლიტიკურ მომენტზედ.**

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მოისმინა რა ინტერ-პარტიულ საბჭოს დავალებული მოხსენება ნ. ჟორდანიასი, შესახებ დღევანდელი მომენტისა და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობისა, დაადგინა:

1) ქართველი ერი დღესაც ისევე, როგორც ასი წლის განმავლობაში სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.

2) ქართულმა დემოკრატიამ დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა თავისი სვე-ბედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიას და მასთან ერთად მოქმედებით ჰფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და ეროვნული მისწრაფებანი განახორციელოს.

3) რუსეთის შუაგულში გაჩაღებული სამოქალაქო ომის მეოხებით დღეს არ არსებობს ერთი ცენტრალი, რევოლუციონური მთავრობა. ამ გარემოებამ აიძულა ყველა განაპირა ქვეყნები, და, მათ შორის, ამიერ-კავკასია, თავის შინაური საქმეები თავისივე ძალღონით მოეგვარებინა და ადგილობრივი მთავრობა შეექმნათ. ამიტომ ყრილობა მხარს უჭერს ამიერ კავკასიის მართველობას, ეს კომისარიატი საპასუხისმგებლო უნდა იყოს ამიერ კავკასიის სეიმის წინაშე.

4) ყრილობა საჭიროდ სცნობს შესდგეს, როგორც დროებით დაწესებულება საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის შესადგენად ყრილობა ირჩევს 90 წევრს. საბჭოს წევრები თავის ადგილს უთმობენ ამიერ კავკასიის სეიმის ქართველ დეპუტატებს.

5) ადგილობრივ ძალთა თავის მოყრა არა ჰკმარა ყველა მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ჩვენი ძირითადი ინტერესები მოითხოვს [illegible] შესდგეს [illegible] რევოლუციონური მთავრობა [illegible] მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი კრება.

6) [illegible] ისეთი ნორმები, რომელნიც მას საშვალებას [illegible] ბის ქართველ დელეგატებს მოითხოვონ რუსეთის დამფ. კრებაზე ამ ნორმების მიღება. ასეთ ნორმებად არის: **საქართველოს სრული ტერიტორიალი თვითმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ საკითხებზედ.** ტერიტორიის საზღვრები გაიმიჯნება დაინტერესებულ მოსაზღვრე ერებთან შეთანხმებით. საქართველოში მოქცეულ ეროვნებათა უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებრივ გარანტიას კულტურულ განვითარებისას. ამ მთავარ კითხვაში შეთანხმება უნდა მოხდეს ამიერ კავკასიის ერთა შორის. სამაჰმადიანო საქართველოს მიენიჭება ფართო თვითმართველობა, ასეთივე ფართო თვითმართველობანი მიენიჭებათ ყველა იმ განაპირა ადგილებს, რომელთა მცხოვრებლები მოისურვებენ საქართველოს თვითმართველობის ერთეულში შემოსვლას.

7) თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდა და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავალში ვერ მოხერხდა, უნდა იქნას მოწვეული ადგილობრივი დამფუძნებელი კრებები, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე ცალ-ცალკე ერების, რომელნიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ეროვნულ წყობილებას, როგორც თვითეულ ეროვნულ ტერიტორიალურ ერთეულებში, ისე მთელ ამიერ კავკასიაში.

8) საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევის ზრუნვა ევალება საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

**საფინანსო სექციის რეზოლიუცია.**

სანამ არსებობს ჩვენი ქვეყნის ერთობა და მისვლა-მოსვლა რუსეთთან, უნდა ვაწარმოვოთ ერთი ფინანსიური პოლიტიკა და სულ სხვაგვარი გეგმა და ზომები გვიდგება წინ, როცა კავშირი თვის-თავად სწყდება. აგრეთვე როცა მოქმედებს დღევანდელი დროებითი ამიერ-კავკასიის მართველობა, ჩვენს ქვეყანას და მის საბჭოს ბევრად ნაკლები ფინანსიური საშვალება უჭირია, ვიდრე მაშინ, როდესაც ეს მმართველობა დაუბრუნდება. რაც მეტი თვითმართვა აწევს მხარეს, მით უფრო მეტს ფინანსიურ შემოქმედებას ავალებს მას აუცილებელი საჭიროება. სამაგიეროდ ეს მდგომარეობა გაითვალისწინა ფინანსიურმა სექციამ და მივიდა იმ გარდაწყვეტილებამდის, რომ ნორმალურ პირობებში ფინანსიური ძალა მის ხარჯს და პოლიტიკურ საჭიროებას დაჰფარავს. საქართველოს ფინანსიური წარმატება დააჩქარებს და გააძლიერებს ქართულ პოლიტიკურ პარტიების შეთანხმებას და მოქმედებას.

საქართველოს ფინანსიური მხარე გაამაგრებს და გააძლიერებს საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას.

**ადმინისტრატიული სექციის რეზოლუცია**

პირველმა ეროვნულმა ყრილობამ მიიღო რა მხედველობაში:

1) რომ ადმინისტრატიული თვითნებობა, სასამართლოს და ადმინისტრატიული ფუნქციების ერთმანეთში არევა ძირიანად ეწინააღმდეგება ადამიანის და მოქალაქის ელემენტარულ უფლებათ;

2) რომ საუკეთესო რესპუბლიკანური ნორმებიც ვერ მიაღწევენ თავიანთ მიზნებს, თუ არ არსებობენ შესაფერი ადმ. კომიტეტები,

3) რომ მხოლოდ ხალხიდანვე შექმნილი და მის კონტროლ ქვეშ მყოფ ადმინისტრაციას შეუძლიან დაიცვას რესპუბლიკანური კანონები,

დაადგინა:

ა) წესიერების დამცველი ადმინისტრაცია მილიცია მთელი თავისი შემადგენლობით უნდა იმყოფებოდეს თვითმართველობის ვანკარგულებაში. თვითმართველობა ადგენს და ხელმძღვანელობს მას თანახმად საერთო შემუშავებული დებულებისა და მაშინაც-კი, როდესაც წესიერების დამცველი ადმინისტრაცია მოქმედობს ავტონომიურად, ის იმყოფება თვითმართველობის საერთო კონტროლის ქვეშ.

გ) არავითარი სისამართლოს ფუნქცია არ შეიძლება მიენიჭოს ადმინისტრაცია.

ვ) ყოველივე უკანონო მოქმედებისათვის ადმინისტრატიული პირები პასუხისმგებელნი არიან სასამართლოს წინაშე და ყველა მოქალაქეს ნება აქვს განასაჩივროს ადმინისტრაციის უკანონო მოქმედება.

დ) ყრილობა აუცილებლივ სცნობს, რომ სასოფლო, სარაიონო და სამაზრო ადმინისტრატიულ ორგანოებში დაუყოვნებლივ მოხდეს სრული გაეროვნება: შემოღებულ იქმნას საქმის წარმოება ქართულს ენაზე. საგუბერნიო და საოლქო ადმინისტრატიული ორგანოების გაეროვნება მოხდეს თანდათანობით, რომ სხვა ერების ინტერესები არ შეილახოს.

ღ) მთელი ადმინისტრაცია უნდა იყოს ავანგარდი რევოლუციის დასაცავად და მუდამ მზად უნდა იყოს კონტრ-რევოლუციასთან გასამკლავებლად.

ე) ეროვნული ყრილობა სცნობს, რომ დღეს ადმინისტრაცია-მილიცია არის რევოლუციით მოპოვებულ უფლებათა დამცველი და მხურვალედ მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, განსაკუთრებით ჯარისკაცებს და ოფიცრებს, რომ თავიანთი ცოდნა, გამოცდილება და გამბედაობა მოახმარონ ამ საპასუხსაგებლო და საპატიო მოღვაწეობას.

**სამხედრო სექციის რეზოლუცია**

ქართველი ჯარი, როგორც ნაწილი რუსეთის რევოლუციონურ ჯარისა, ემორჩილება იმ სამხედრო წესდებას, რომელნიც რევოლუციონურ პროცესში გამოსცა დროებითმა მთავრობამ. სარევოლუციო ორგანიზაციების მოწყობა ქართველი ჯარის ერთეულში ხდება იმ წესით, რომელიც შეიმუშავა კავკასიის სალაშქრო საბჭომ 1917 წლის ივანობისთვის 9 ყველა იმ შესწორებით, რაიცა შემდეგ ამისა მიიღო იმავე საოლქო სალაშქრო საბჭომ. რაც შეეხება ქართველი ერთეულების გამგეობას, ეს საქმე სავსებით ქართულ ეროვნულ საბჭოს კომპეტენციას უნდა შეადგენდეს.

ეროვნული საბჭო ირჩევს ქართული ჯარის უფროსთა შემადგენლობას.

ვინაიდან ქართველი სამხედრო ერთეულების შედგენას მოითხოვს ღღევანდელი მომენტი, ეროვნული ყრილობა ეროვნულ საბჭოს შემდეგს ავალებს:

1) ეროვნულმა საბჭომ იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რათა ყოველ მსურველ ქართველ ჯარისკაცს ნება მიეცეს ქართულ ერთეულებში გადმორიცხვისა.

2) ეროვნულმა საბჭომ მიჰმართოს ქართველ ერს, ამ დიდ მომენტში მიიღოს მონაწილეობა ქართველ ერთეულების შედგენაში და შევსებაში.

3) ქართველმა დეზერტირებმა სამხედრო ბევარა ქართველ ერთეულებში უნდა მოიხადონ წინააღმდეგ შემთხვევაში მათ წინააღმდეგ ზომები იქნება მიღებული.

**ქონების სექციის რეზოლიუცია.**

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მოისმინა ქართველი თავად-აზნაურობის ორივე გუბერნიის წინამძღოლთა მოხსენებანი იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობის დადგენილებით 29 ოქტ. და 8 ნოემბრის თარიღებით, მთელი მისი, ორივე გუბერნიის თავად-აზნაურობისა, კოლექტური ქონება, ქონებრივი უფლებები და ვალდებულებანი აღიარებულია ქართველ ერის ავლადიდებად და უნდა გადაეცეს, ვიდრე საქართველოს თვითმართველობის საჭირო უფლებრივი ორგანო დაარსდებოდეს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს ჩაიბაროს ქართველ თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოდან მისი, თავად აზნაურობის, როგორც წოდებრივი ორგანიზაციის, უძრავი და მოძრავი ქონება, ქონებრივი უფლებები და მიიღოს აგრეთვე მისი ვალდებულებანი, ჩაიბაროს თავად-აზნაურობის საკრებულოთაგან საქმეები და არქივები.

იკისროს ამ ქონების მოვლა-პატრონობა და ვალდებულებათა და აღსრულება, რათა თავად-აზნაურობის ქონებრივი უფლებანი უკლებლივ და მთლიანად ჩაჰბარდეს მას.

**სასურსათო სექციის დადგენილებანი**

1. საქართველოს ეროვნული ყრილობა ითვალისწინებს თანამედროვე მდგომარეობას და ჯარის დემობილიზაციას, რაც გამოიწვევს ჩრდილოეთიდან რკინის გზათა და ზღვით სურსათის გადმოტანის შეჩერებას, ავალებს ეროვნულ საბჭოს, მოაწყოს განსაკუთრებული სასურსათო სექცია, რომელიც მჭიდრო კავშირს დაიჭერს, როგორც ამიერ კავკასიის მთავრობასთან, და საოლქო სასურსათო კომიტეტთან, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მთავრობასთან, დაამზადებს საჭირო სურსათს და მოაწყობს მის გადმოზიდვას სამხედრო გზებით.

2. ყრილობა ავალებს ეროვნულ საბჭოს დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს სურსათის დანაწილება მთელ საქართველოში, რისთვისაც უნდა გამოიცეს განსაკუთრებული მოწოდება საბჭოს სახელით, მეურნეთა მიმართ, რათა ზედმეტი პური გადასცენ სასურსათო ორგანიზაციებს მტკიცე ფასებში.

3. ყრილობა სასურველად სცნობს, რომ სურსათის საქმე, ისეთ ორგანიზაციების ხელში იყოს, რომელნიც ერთი მხრივ მთელი დემოკრატიის ნდობით იქნებიან აღჭურვილი და მეორეს მხრივ საჯარო უფლებათა მატარებელნი: ასეთები კი არიან ადგილობრივი თვითმმართველობანი. დღესვე გადაეცეს ქალაქთა თვითმმართველობებს ეს საქმე და დაუყოვნებლივ შემოღებულ იქმნას ერობა.

4. სანამ ერობა შემოღებული არ იქნება, მანამ ძალაში რჩება საგუბერნიო სასურსათო კომიტეტები.

5. რადგან ჩვენში არსებობენ კოოპერატიული ერთეულები აუცილებელია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მოქმედებაში ემყარებოდნენ კოოპერატივებს და მათ კავშირებს.

**სკოლის სექციის რეზოლიუცია**

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა აღიარებს, რომ რუსეთის დიდი რევოლიუციის პროცესშივე დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს ყველა ის ძირითადი ბოროტება, რომელსაც მხოლოდ ძველი სახელმწიფოებრივი რეჟიმის პოლიტიკა ამართლებდა და ამაგრებდა. ამიტომ საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა საჭიროდ სცნობს, რომ:

1. ამიერ კავკასიის კომისარიატმა დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს საკანონმდებლო დეკრეტი ამიერ კავკასიის ერთა სკოლების სრული ნაციონალიზაციის შესახებ.

2. ამ დეკრეტის ცხოვრებაში გატარება გულისხმობს ორგვარი ორგანოს შექმნის საჭიროებას: ა) საერთო სახელმწიფოებრივის და ბ) კერძო ეროვნულისას.

3. საერთო—სახელმწიფოებრივი ორგანო, ამიერ კავკასიის კომისარიატის სახით, სკოლის ნაციონალიზაციის დეკრეტის გამოქვეყნებასთან ერთად ახდენს ამიერ კავკასიის ერთა სასკოლო ინტერესების გადამიჯვნას. ამასთანავე საერთო სახელმწიფოებრივი ორგანო ხელმძღვანელობს ყველა იმ კლასებს და სასწავლებლებს, რომელთა მოწაფეების შემადგენლობაც ეროვნულად შერეული დარჩება და რომელშიაც ამ მიზეზით ნაციონალიზაციის განხორციელება დროებით შეუძლებელი აღმოჩნდება.

4. ეროვნული ორგანო. ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ ორგანოს სახით, სათავეში უდგას გაქართულებულ კლასებს და სასწავლებლებს და მთელი ქართული სწავლა-აღზრდის და განათლების საქმეს, მას ევალება ყოველგვარი ზრუნვა ქართული სწავლა-აღზრდის ორგანიზაციისა და მისი ნორმალური და ნაყოფიერი მსვლელობის შესახებ—შემდეგი საფუძვლების მიხედვით:

1. სახალხო სკოლა უნდა იყოს საყოველთაო, სავალდებულო, საერო (განშორებული ეკლესიისგან), უფასო, ერთგვარი, და შეიცავდეს საზოგადო განათლების რვა წლიან კურსს.

2. საზოგადო განათლების სახალხო სკოლას უნდა მისდევდეს მრავალნაირი საპროფესიო და სპეციალური განათლების სკოლები, რომელთა ტიპიც უნდა შეეფერებოდეს ადგილობრივ მცხოვრებთა ბუნებრივ საქმიანობასა და პროფესიას.

3. საშუალო სკოლა უნდა შეიცავდეს მხოლოდ ახლანდელი სასწავლებლის ოთხს უფროს კლასს და ხელმისაწდომი უნდა იყოს ნივთიერად არა უზრუნველყოფილ კლასებისათვისაც. საშუალო სკოლა სხვადასხვა ტიპისაა, ხოლო უფლებრივის მხრივ სავსებით თანასწორია.

4. კერძო ინიციატივას სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმეში ფართო. სარბიელი უნდა ჰქონდეს დათმობილი.

5. ქართულ ეროვნულ საბჭოს ევალება აგრეთვე იზრუნოს, როგორც სკოლაში სწავლის, ისე სკოლის გარეშე განათლების ყოველი დარგის მოწესრიგების შესახებ.

## ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში.

ოთხშაბათს, ნოემბრის 29-ს ქალთა წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში გაიმართება მოხსენება საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობის და ფრიად საყურადღებო კითხვების შესახებ, მოხსენებას წაიკითხავენ: 1. **ვასილ წერეთელი**, 2. **ტრიფონ ჯაფარიძე** და სხვანი. მოხსენება დაიწყება საღამოს რვა საათზე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ
პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი.

6. კერძოდ სკოლის ყველა ტიპისა და საფეხურის გაქართველების განსახორციელებლად ქართულ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ ორგანოს ევალება:

1. სხვადასხვა რაიონებში მოწყობილ იქმნას მოკლე ვადიანი საპედაგოგიო კურსები, რომელთა მიზანიც ჩვენი საშუალო სკოლის მასწავლებელთა მომზადების დონის ამაღლებაში უნდა მდგომარეობდეს, მოახდინოს აგრეთვე სრული ნაციონალიზაცია სამასწავლებლო სემინარიებისა.

2. გამოძებნოს საშუალება სახალხო სკოლის მასწავლებელთა ნივთიერად უზრუნველ ყოფად.

3. ჩვენი საშუალო სკოლის მასწავლებლობა არ არის მომზადებული —გაქართულებულ სკოლებში სწავლა აზრდის წარმოებას შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიოს. ამიტომ საჭიროა დაარსდეს ერთწლიანი საპედაგოგიო კურსები, რომელიც სავალდებულო უნდა გახდეს ყველა იმ პირისათვის, რომელიც საშუალო სკოლის მასწავლებლობას აპირებს.

4. გაქართველებულ სკოლას ახალი სახელმძღვანელოების და ხელსაწყო ნივთების საკმაო რიცხვი ესაჭიროება. ამიტომ საჭიროა ეროვნულმა საბჭომ შექმნას განსაკუთრებული ორგანო, რომლის მუდმივი ზრუნვის საგანსაც, როგორც შესაფერისი სახელმძღვანელოების და ხელსაწყო ნივთების შექმნა ისე მათის გამოცემისა და გავრცელების მოწესრიგება უნდა შეადგენდეს.

5. ამავე ორგანოს უნდა დაევალოს—დაუყოვნებლივ განიხილოს ყველა ის ქართული სახელმძღვანელო, რომელიც ამჟამად გაქართულებულ სკოლებსა და კლასებში იხმარება, შეაფასოს იგინი დასახმარებლად მხოლოდ საუკეთესონი მოიწონოს. ამას გარდა ტერმინოლოგიის სიჭრელის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ყველგან მიღებულ იქმნას იმ ტერმინები, რომელსაც შეიმუშავებს დასახელებული ორგანო.

6. საქართველოს პირველი ეროვნული კრება აღიარებს, რომ სკოლის გაქართველება მხოლოდ მაშინ დადგება მკვიდრსა და საიმედო ნიადაგზე, როდესაც ქართველობას საკუთარი უნივერსიტეტი გაუჩნდება. ამიტომ იგი დაბეჯითებითი ავალებს თავის ეროვნულ საბჭოს, რომ მან ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოებას, როგორც ზნეობრივად, ისე ნივთიერადაც, რათა ქართული უნივერსიტეტის გახსნა, თანახმად ინტერპარტიული საბჭოს გადაწყვეტილებისა, მომავალ წლის იანვრამდე მოხერხდეს.

**სასამართლოს სექციის რეზოლიუცია.**

იურიდიული სექცია თავის მუშაობაში იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ მისი მუშაობის მთავარ საგანს შეადგენს სამოსამართლო ნაწილის რეორგანიზაცია საქართველოში და ამ საკითხთან დაკავშირებული უსაჭიროესი რეფორმები. იურიდიული სექცია ვერ იკისრებს შეიმუშაოს საკანონმდებლო აქტი და ამიტომ გამოსთქვამს მხოლოდ ზოგადი ხასიათის საპრინციპო მოსაზრებით.

ამრიგად სექციამ განსაზღვრა საგანი თვისი მუშაობისა ერთის მხრით სამოსამართლო ნაწილის ნაციონალიზაციით და მეორეს მხრით კი არსებულ სამოსამართლო წყობილების რეორგანიზაციით—ზოგი ინსტიტუტის გაუქმებით და ზოგის ახლად შექმნით.

თანახმად ამ ხელმძღვანელ მოსაზრებისა იურიდიულმა სექციამ საჭიროდ სცნო:

ა) დაუყოვნებლივ უნდა გაუქმებულ იქმნას ინსტიტუტი სასოფლო სასამართლოსი და საერთოდ საგანგებო საგლეხო კანონმდებლობა, ვითარცა ნაშთი ძველი წყობილებისა და მის წოდებრივ არსის გამოხატულება.

ბ) აგრეთვე გაუქმებულ უნდა იქმნეს სამიჯნო სასამართლოს და სამიჯნო საქმეთა წარმოება უნდა გადაეცეს საერთო სამოქალაქო სასამართლოს.

გ) უნდა დაწესებულ იქმნას ინსტიტუტი მომრიგებელ მოსამართლეთა, რომელთაც ირჩევს ქალაქის და ერობის თვითმართველობა. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა ხსენებულ ინსტიტუტისა ვინ იქნება მეორე ინსტანციათ.

(ც) საოლქო სასამართლოსი და სასამართლო პალატის წყობილება უნდა შეიცვალოს ამ სახით:

საოლქო სასამართლო ქვემდებარე საქმეების პირველ ინსტანციათ უნდა დარჩეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებისათვის უნდა დაწესებულ იქმნას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

სასამართლო პალატა უნდა დარჩეს სააპელიაციო ინსტანციად საოლქო სასამართლოში განხილულ სამოქალაქო საქმეებისთვის.

ე) ყველა ხარისხის სასამართლოებისათვის უნდა დაწესებულ იქმნას საქართველოში ერთი საკასაციო ინსტანცია სენატი, ანუ საკასაციო სასამართლო.

ვ) უნდა გადასინჯულ იქმნას დებულებანი ნაფიც ვექილთა წოდებრივ ორგანიზაციისა და კერძო ვექილთა ინსტიტუტის შესახებ.

ზ) უნდა გაუქმებულ იქმნას არსებული თანამდებობა მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწისა, გამომძიებლის ფუნქციებით და დაწესებულ იქმნას დამოუკიდებელ გამომძიებელთა ინსტიტუტი.

თ) საქართველოს ტერიტორიაზე სამართალი ყველა ინსტანციაში საერთო წესით უნდა სწარმოებდეს ქართულს ენაზე, მაგრამ ეროვნულ უმცირესობათა ენების უფლება დაცულ უნდა იქმნას საგანგებო კანონით.

ი) ვიდრე შეიქმნებოდეს ახალი კანონები მოსამართლე უნდა სარგებლობდეს აწ არსებული კანონებით.

ყველა ეს უსაჭიროესი რეფორმა სამოსამართლო ნაწილისა ისეთი უცილობელი რამ მოთხოვნილება და უთუო პირობაა ერის ცხოვრების ახალ საფუძველზე აგებისა, რომ იურიდიულმა სექციამ საჭიროდ არ სცნო დაესაბუთებინა თითოეული თვისი დადგენილება.

ამასთანავე იურიდიული სექცია საჭიროდ სცნობს რომ აქ წარმოდგენილი ყველა დებულების დაწვრილებითი შემუშავება და განხორციელება ეროვნულმა ყრილობამ უნდა მიანდოს ეროვნულ საბჭოს, რომელიც იმოქმედებს ამიერ-კავკასიის კომისარიატთან შეთანხმებით.

საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას საერობო სექციამ განიხილა საქართველოში ერობის შემოღების საკითხი და მიიღო რა მხედველობაში:

1) რომ ერობა ერთი უდიდესი და აუცილებელი საჭიროებათაგანია ჩვენი სოფლისა.

2) რომ ამ საჭიროებამ თავი იჩინა განსაკუთრებით აწინდელ ომის დროს, რომელმაც გამოიწვია რუსეთში და ჩვენშიც ნორმალურ ეკონომიურ ცხოვრების რადიკალური დარღვევა და სხვათა შორის უკიდურესი სასურსათო კრიზისი.

3) რომ ერობის შემოუღებლობა დიდად აფერხებს ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას, საჭიროდ სცნო:

1. დაუყოვნებლივ შემოღებულ იქმნას საქართველოში სამ-სართულიანი ერობა:

ა. მცირე საერობო ტერიტორიალი ერთეული, ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ბ. სამაზრო და

გ. საგუბერნიო, ანუ საოლქო,

2. ერობა აგებული უნდა იქმნას საყოველთაო (განურჩევლად სქესისა), პირდაპირ, თანასწორ, ფარულ და პროპორციონალურ საარჩევნო უფლებაზე.

3. ერობას უნდა მიენიჭოს არა მარტო სამეურნეო ფუნქციები, არამედ სახელმწიფო მართველობის უფლებაც ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად,—კერძოთ თვით-დაბეგვრისა და სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლება,

4. საერობო დაწესებულებათა დადგენილების განსაჩივრება ფორმალური კანონიერების მხრივ შეუძლიან სასამართლოში ყოველს მოქალაქეს და იურიდიულ პიროვნებას. უმაღლესი მეთვალყურეობა ფორმალური კანონიერების ფარგალში მოქმედებისა ეკუთვნის მთავრობის ადგილობრივ კომისარი, რომელიც განასაჩივრებს სასამართლოში.

5. ერობის დაუყოვნებლივ შემოღებაზე ზრახვა და მისი განხორციელება, ზემო აღნიშნულ პირობათა დაცვით ევალება საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

6. დაუყოვნებლივ მიღებულ იქმნას ზომები, რათა თბილისის გუბერნიის 7 უეზდის მაზრაში დაუყოვნებლივ შემოღებულ იქმნას ერობა და სადავო მაზრების გამო არ შეჩერდეს არც საგუბერნიო საერობო დაწესებულებათა შემოღება თბილისის გუბერნიაში, არც სამაზრო დაწესებულებათა ახალქალაქის მაზრაში.

# ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

ვ. წერეთლის, ტრ. ჯაფარიძის და სხვათა მოხსენება. ოთხშაბათს, ნოემბრის 29-ს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაზში წაიკითხავენ მოხსენებას საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობის და სხვა საყურადღებო კითხვების შესახებ. ვასილ წერეთელი, ტრ. ჯაფარიძე და სხვანი. მოხსენება დაიწყება საღამოს 8 საათზე.

✦ **საღამო-კაბარე.** 25 ნოემბერს, საზოგადო საკრებულოში ეროვნულ დემოკრატ ქალთა წრემ გამართა დიდი საღამო კაბარე. საღამო შინაარსიანი საღამო, საზოგადოება, მიუხედავათ ცუდი ამინდებისა, ბლომად დაესწრო. ანგარიში შემდეგ დაიბეჭდება.

✦ **არჩევნები სოფლად.** ქუთაისის საგუბერნიო კომისიამ ტყვიბულის რაიონიდან უკვე მიიღო არჩევნების შედეგი. ს.-დემოკრატებს № 1-ს მიუღიათ—9513 ხმა, კადეტებს № 2-ს—2 ხმა, ესერებს № 3-ს—293 ხმა, ბოლშევიკებს № 5-ს—17 ხმა, სო.-ფედერალისტებმა № 6-ს—192 და ეროვნულ-დემოკრატებმა № 8-ს—384 ხმა.

✦ **ქართველ მოწაფეთა საყურადღებოთ.** დღეს, საღამოს 6 საათზე წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში ვუკოლ ბერიძე მოწაფეთათვის წაიკითხავს ლექციას ქართული ენის შესახებ.

✦ **ქალაქთა კავშირის ყრილობა.** 30 ნოემბერს, თბილისში შესდგება კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების მეექვსე ყრილობა. ამ ყრილობაზე ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობა გაგზავნის სამ წარმომადგენელს.

✦ **მუშაობის განახლება.** ქალაქის ყველა დარგის მუშებმა, რომელნიც ეკონომიურ ნიადაგზე 25 ნოემბერს გაფიცვა მოახდინეს, პროფესიონალურ კავშირის თხოვნით მუშაობა უკვე განაახლეს. მათ საკითხს ქალაქი საბჭო განიხილავს 28 ნოემბრის სხდომაზე.

✦ **პურის ნორმა.** ქუთაისში ბევრი პური იხარჯება, პურის ფქვილი კი ცოტა არის. მალე ქალაქი უპუროთ დარჩება. ამისთვის ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დაადგინა თვითეულ სულს დღეში გირვანქა პურის ნაცვლად მიეცეს 3/4 გირვანქისა.

✦ **ქალაქის საბჭოში.** დღეს, 28 ნოემბერს შესდგება ქალაქის საბჭოს კრება, რომელზედაც გარჩეულ იქმნება, შემდეგი საკითხები: 1) არჩევა ქალაქის თვითმმართველობის 3 წარმომადგენლისა, რომელნიც დაესწრებიან 30 ნოემბერს, კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობას, 2) ქალაქის მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, 3) საკითხი ქალაქის აფთიაქში მოსამსახურეთა მოთხოვნილების შესახებ, 4) ქალაქის თავის მოადგილის არჩევა, 5) სალოციის სახნავსათესი ადგილების იჯარით გაცემა, 6) გამგეობის მოხსენება 8 დეკემბერს ყულაბებით ფულის შეგროვების შესახებ და 9 დეკემბერს საღამოს გამართვის შესახებ ქუთაისის ღარიბთა სასარგებლოთ და 7) არჩევა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგისა, ნაცვლად ს. პ. გეგელაშვილისა.

# მსოფლიო ომი.

**პ. ღ. ს.**

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**აღმოსავლეთის ფრონტი. პალესტინაში.**

ნოემბერს 20 მტერმა იერიში მიიტანა რამდენჯერ აღმოსავლეთით ინგლისის ხაზზე. იერიში წააგეს. 200 ოსმალო ტყვედ დასტოვეს. ოსმალები ახალ ასპარეზზე ამაგრებენ ზღვის პირად, რომ, შესაძლებელი გახდეს იაფფარმდეს გზის სროლის ატეხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დასავლეთის ფრონტი იტალიაში.**

გერმანელები ერთხელ კიდევ შეეცადნენ მდინარე პიავაზე გადასვლას, მ გრამ, მიუხედავად მათი სიძლიერისა, იტალიელებმა ყველა იერიშები მოიგერიეს.

**ამერიკელთა ჯარების გადმოყვანა**

ვაშინგტონიდან იუწყებიან: სამხედრო დეპარტამენტმა შეიმუშავა გეგმა ევროპაში ამერიკულ ჯარის გადმოსაყვანად. გეგმის განხორციელებას ერთი წელიწადი მოუნდება. განზრახულია ყოველ თვიურად 100 ათას კაცის გადმოყვანა. აშენებენ საგანგებო გემებს.

**გერმანელების ახალი ნაღმოსნები**

**კოპენჰაგენი.** ნოემბერს 15. გერმანელებს გაუკეთებიათ რამდენიმე ახალ სახის ნაღმოსნები. ნაღმოსნები უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით მოქმედობენ, მათ ხალხი არ სჭირდებათ.

**საარჩევნო კან ნი პრუსიაში.**

**ტორნეო.** ნოემბერს 15 გამოქვეყნდა კანონი საარჩევნო უფლების შესახებ. პრუსიის ყველა ქვეშევრდომს, რომელთაც კი 25 წელი შეუსრულდეთ და ერთი წელი პრუსიაში იცხოვრეს—ხმის მიცემის უფლება ენიჭებათ.

## უკანასკნელი დეპეშები.

კრონშტატში დამფუძნებელი კრების არჩევნებში ბოლშევიკებს მიუღიათ 17.027 ხმა, მემარცხენე ესერებს 2.080, უპარტიოთ 1.081, ესერებს „ობორონცებს" 680, ესერების გრუპპას—162.

—

ოფიციალურად ზავზე მოლაპარაკების დროს ყველგან საომარი მოქმედება შეწყვეტილი უნდა იქნეს, რუსეთის დარწმუნებულმა წინადადება მისცეს მოწინააღმდეგეთ-დანიშნონ რუსეთის წარმომადგენელთან პაემანი.

—

გამოვიდა ბრძანება, რომ რუსეთის ფრონტებზე სამხედრო მოქმედებები შეჩერებული უნდა იქნენ.

—

მოსკოვის გუბერნიაში დამფუძნებელი კრების არჩევნების ხმების დათვლა დამთავრდა. (გარდა სამი მაზრისა) ბოლშევიკებმა მიიღეს 245.247 ხმა; ესერებმა 107.328, კადეტებმა 25.238 მენშევიკებმა 19.835.

—

ვიკჟელის რეზოლიუცია მოითხოვს საბჭოების ძალა უფლებებს- ვიკჟელი თანახმაა საგზაო მინისტრის პორთფელი მიიღოს.

—

გერმანეთში რეიხსტაგს სოციალისტების სურვილის წინააღმდეგ, დაუმტკიცებია სამხედრო სესხი და კრება რეიხსტაგს მაშინვე ჩაუშლია.

—

სამხედრო სარევოლუციო კომიტეტს გაუნთავისუფლებია დატყვევებული ჟურნალისტები: დმიტროვსკი იაროცკი, არგუნოვი, და ფრიზა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ვაჭართა მრეწველობის და ფინანსთა მინისტრების წარმომადგენლებმა საზღვარ გარეთიდან პეტრეს ქალაქში შემოთვალეს, რომ ის კრედიტი რომელიც ქონდა მოკავშირეებთან რუსეთს სამხედრო იარაღების დამზადებისთვის, ამ ჟამათ მოესპო. ამის გამო შეკვეთილი იარაღების მზადება შეჩერებულია. ამასთანავე იგივე წარმომადგენლები იტყობინებიან—ამის გამო მანეთიანის ღირებულება საზღვარ გარეთ კატასტროფიულათ დაეცა.

—

დროებითი სარევოლუციო კომიტეტის განკარგულებით, პეტრე-პავლეს ციხეში დატყვევებულნი ჩრდილოეთის ფრონტის მთავარ სარდალი გენერალ ჩერემისოვი განთავისუფლებული უნდა იქნეს.

—

იაპონიის ელჩებს ჯერეც არ მიუღიათ პასუხი თავიანთი მთავრობიდან, ტროცკის წერილის გამო. ელჩები თავს იკავებენ რაიმე დამოკიდებულება იქონიონ თანამედროვე მომენტთან—სანამ პასუხს არ მიიღებენ ტოკიოდან. ელჩები ირწმუნებიან, რომ არავითარი განცხადება არც მათგან, არც სამხედრო რწმუნებულებისაგან მთავარ ბანაკში არ მომხდარა. ელჩების გადმოცემით—იაპონია მოკავშირეებთან „სოლიდარულათ" მოქმედებს, და არავითარი ნაბიჯი შეუთანხმებლად მოკავშირეებთან არ გადადგამს იაპონიის. იაპონიის ელჩები—სხვა ელჩებთან ერთათ თავს იკავებენ რომ რაიმე დამოკიდებულება იქონიონ გარეშე საქმეთა კომისარ—ტროცკისთან. მწვერვალეს საქმეებშიც კი.

—

მეხუთე „არმიიდან" ცნობა არის: როცა მთავარ სარდალი პრაპ. კრილენკო გერმანელებთან მეხუთე „არმიიდან" ხალხს გზავნიდა, გვერდით ჩვენმა ჯარმა სროლა ასტეხა. ამას გარდა როცა კრილენკო მატარებლით ჯარში მიდიოდა, ჩვენმა ბატარეიამ შრაპნელები დაუშინა რამოდენიმე ტყვია მატარებელს მოხვდა.

16 ნოემბერს, პარიზში მოკავშირეების კონფერენცია გაიხსნა ინგლისი, საფრანგეთი და იტალიეთი ამ კონფერენციაზე წარსდგენ მინისტრ-თავმჯდომარეები გარეშე საქმეთა მინისტრები-ფინანსების და გზათა თავმოყრილნი იყვნენ შეერთებული ამერიკის შტატების და იაპონიის მხრით იქ მყოფი ელჩები დაესწრენ სერბეთის ბელგეთის, რუმინეთის და პორტუგალიის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას იმ საკითხების გადაჭრაში რომლებიც პირდაპირ მათ შეეხებათ.

რუსეთის მხრით მომხდარ ამბების გამო, განსაკუთრებული წარმომადგენელი არ ყოფილა დანიშნული. ელჩების გადმოცემით სასურველათ იცნეს მიიღოთ მონაწილეობა რუსეთის მხრივ იქ მყოფ რუსეთის რწმუნებულს ვ. ა. მაკლაკოვს. ჯერ ცნობა არ მოსულა, მიიღო თუ არა მონაწილეობა მაკლაკოვმა კონფერენციაში. მაკლაკოვის მიწვევით მოკავშირეებმა დაადასტურა რომ, ოფიციალურათ დამოკიდებულება რუსეთსა და მათ შორის არ შეწყვეტილა.

კონფერენციის პირველ სხდომებზე განიხილავენ რუსეთში მომხდარ ამბებს.

—

რადგან დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ტროცკის წერილის მიხედვით ჩიჩერინდი და პეტროვი არ გაანთავისუფლა, ამიტომ გარეშე საქმეთა კომისარმა ტროცკიმ ბრძანება გამოსცა დიდ ბრიტანეთის ქვეშევრდომთ მოწმობა საზღვარ გარეთ გასვლის არ მიეცეთ.

—

გარეშე საქმეთა კომისარმა ტროცკიმ ბრძანება გამოსცა მაკლაკოვის გამორიცხვის შესახებ რომელმაც დროებითი მთავრობიდან დიპლომატიური დანიშნულება მიიღო პარიზში. ბრძანებაში ტროცკი ამბობს, თუ მაკლაკოვმა მოკავშირეების კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო, ის სასტიკ სასჯელს მიიღებსო.

—

16 ნოემბერს ყველა სახელმწიფო სასწავლებლების მოსწავლეები გაიფიცენ პროტესტი გამოაცხადეს ბოლშევიკებისგან ძალა უფლებების ხელში ჩაგდების წინააღმდეგ მეცადინეობა ორი დღით შეწყვიტეს.

### გეგუთის ეკლესიის კურთხევის გამო.

ადამიანს ორგვარი სიამოვნება შეუძლია განიცადოს: სულიერი და ხორციელი. ხორციელი სიამოვნება იმდენათ აკმაყოფილებს, არ ატკბობს ადამიანის გრძნობა მოთხოვნილებას, რამდენადაც სულიერი. ამისთვის კაცობრიობა თავიდანვე იმის ცდაში იყო, რომ გამოენახა ის საშვალება, რაც მას სულიერად დაატკბობდა, დაამებდა. ეს საშუალებები ბევრ გვარია. რაც უფრო განათლებულია ესა თუ ის ხალხი, მით უფრო მეტი საშუალება მოეძებნება თავის სულიერ გრძნობის დასაკმაყოფილებლად. სამწუხაროდ ჩვენდა, საქართველოში ჩვენი ხალხის განათლებული ნაწილი მარტო ქალაქებშია თავმოყრილი. ეს გარემოება დიდათ აფერხებს ჩვენ სოფლელების სულიერ გრძნობის დაკმაყოფილებას. ეს სენი საქართველოში უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში გავრცელდა, თორემ საქართველოში თავისუფლების დროს, სოფელი და ქალაქი ისე იყო ერთი ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ყოველ გვარ სულიერ სიამოვნებას ერთად განიცდიდენ. ამ ძველი სანეტარო დროს წყალობით არის, რომ ჩვენ სოფლებში აქამდის კიდევ არის დარჩენილი სულიერ გრძნობის დამატკბობელი სხვადასხვა გვარი საშვალებანი. ერთი ამგვარი საშვალებას დღესასწაულებიც ეკუთვნიან. ერთი ასეთი დღესასწაული 16 ამა ნოემბერს სოფელ გეგუთის მცხოვრებლებს ჰქონდათ. ამ დღეს მათ აკურთხეს თავიანთი ტაძარი. ტაძრის კურთხევა მთელს საქართველოში უდიდეს დღესასწაულად მიაჩნია სოფლის ხალხს. ტაძრის კურთხევაზე თავს იყრის არამც თუ მარტო საკუთარი ტაძრის შემომავალი მრევლი, არამედ ყველა მახლობელი სოფლებისა და შორეულ მოყვრები ადგილობრივი მცხოვრებლებისა. გეგუთის ტაძრის კურთხევა ინება თვით მაღალყოვლად უსამღვდელოესმა ქუთათელმა მიტროპოლიტმა ანტონმა. გამშვენებითი წირვა-ლოცვის შესრულება დიდ გავლენას ახდენს მლოცველებზე, სულ ურწმუნო გულსაც იტაცებს. ყოვლად სამღვდელო ანტონის წირვა; გრძნობით სავსებასთან, ერთად გარეგნულადაც მეტათ სასიამოვნო მოსასმენია.

ამ დღესასწაულს იმდენი ხალხი დაესწრო, რომ უზარმაზარი ტაძარი და მისი ფართო ეზო მთლად გაჭედილი იყო ხალხით. წირვა-პარაკლისის გათავების შემდეგ ყოვლად სამღვდელომ გრძნობიერი სიტყვით მიმართა ხალხს. ამ სიტყვაში მათმა მეუფებამ ადამიანის სხეული ტაძარს შეადარა და ურჩია მლოცველებს ეცადონ თავისი სხეული შემოსონ კეთილი და წმიდა საქმეებით ისე, როგორც ჩვენ ახლად ნაკურთხი ტაძარი შევმოსეთ ახალი და ძვირფასი შესამოსელითაო. მლოცველები ისე გაიტაცა მღვდელმთავრის სიტყვამ, რომ ხშირად აწყვეტინებდნენ მამაშვილურ დარიგებას „გაცოცხლდეს და გაღმეგრძელდეს" ერთხმივი ძახილით. არა, სტყუის ის ვინც გაიძახის, რომ ქართველ ხალხს მღვდელი და წირვა-ლოცვა აღარ უნდაო. უნდათ, მაგრამ ისეთები უნდათ, რომლებიც ნამდვილი პატრონნი ცხვრის ფარისა და არა დაქირავებული მწყემსი.—

**მ. ბუაჩიძე.**

## ქუთათელ მიტროპოლიტის

**მობრძანება ს. კაცხში.**

პირველ ოკტომბერს, მობრძანდა და მისი მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობა კაცხის მონასტერში, სადაც მის მეუფებას, ტაძარში შებრძანების დროს დახვდა მრავალი ხალხი. გალობდა ადგილობრივი სამინისტრო ქალთა სკოლის მოწაფეები; მისმა მეუფებამ, მოძღვრული სიტყვით მიმართა ხალხს და მოწაფეებს, რომ მტკიცედ და ენერგიულად ემსახურონ ქრისტიანულ სარწმუნოებას. ამის შემდეგ მისალმა მისს მაღალ მეუფებას, მხურვალე გრძნობიერის სიტყვით, ყველასაგან ცნობილი შორაპნის მაზრაში თავადი დავით ივანეს ძე ლეონიძე, რომლის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მქონია მისს მეუფებაზედ, მისმა მეუფებამ მწყემს-მთავრული ლოცვა-კურთხევით დააჯილდოვა და მადლობა გადაუხადა. შემდეგ ინახულა მისმა მეუფებამ ადგილობრივი სამინისტრო ვაჟთა და ქალთა სასწავლებლები, სადაც ზემოხსენებული ლეონიძე იმყოფება საპატიო მზრუნველად; მისმა მეუფებამ მოწაფეებს მისცა დარიგება და განუხალისა გული და აუხსნა მნიშვნელობა, თავის სამშობლო ენაზედ სწავლისა.

როდესაც მისი მეუფება გამობრძანდა სკოლიდგან, თავადმა ლეონიძემ საზოგადოების მინდობილობით სთხოვა პურმარილის მიღება, მაგრამ რადგანაც მატარებელი უცდიდა და დრო აღარ იყო, ამისათვის მწყემს-მთავრული ლოცვა-კურთხევა და მადლობა დაუტოვა ხალხს, ნაშუადღევის ორ საათზე მისი მაღალ მეუფება დაბრუნდა სადგურ სალიეთში, თავისი მხლებლებით, ადგილობრივი მონასტრის წინამძღვარის, მღვდლების და მრავალი ხალხის თანხლებით. ამ მეტად სასურველის მოვლენის გამო ხალხის აღტაცებას და სიხარულს არ ქონდა საზღვარი, მაგრამ ამ სიხარულმა და დღესასწაულმა ჩაიარა ფრიად უსიამო შემთხვევით! მაშინ, როდესაც მორთული საქართველო დღესასწაულობს ასი წლის დამონებულ და დამცირებული საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებას და თავის მღვდელ-მთავრების კათედრის აღდგენას, რომელთაგან მთელის თავის სათაყვანო და სადიდებელი ტაძრების გაბრწყინვებას და ხელ-შეუხებლობას, ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა, რომოდენიმე პირთა გავლენით, რომელთა თავისი პირადი ინტერესი აქვთ მხოლოდ მხედველობაში, მიმართა მიტროპოლიტს თხოვნით, რათა ეს მონასტერი დაეხურა და შეერთებინა შტატის ეკლესიად! რასაკვირველია, ხალხი ამგვარი ქცევით და საწინააღმდეგო თხოვნის გამო აღშფოთებული დარჩა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც მის მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობას დარჩებოდა სასიამოვნოდ ეგრეთი არა სასურველი თხოვნით მიმართვა; მონასტრის დახურვის მოწადინე ბატონები თავისი პირადი ანგარიშით ხელმძღვანელობენ და დიდი ხანი მეცადინეობენ ამაზე! საწყენი ის არის კიდევ, რომ რამოდენიმე ადგილობრივი მამებიც მხარს უჭერენ ზემო-აღნიშნულ პირებს და მათთან აგიტაციას სწევენ ხალხში, რათა პრიგოვორი შეადგინონ და ითხოვონ მონასტრის დახურვა! უეჭველია ამნაირი პრიგოვორი წარმოგზავნილი იქმნეს, ვისთანაც ჯერ არს, რომ ამით შეცთომაში არ შეიყვანონ, საჭიროდ ვპოებთ იქმნეს სანდო პირი გამოგზავნილი, რომელსაც დაევალოს ამ საგანზე მთელი საზოგადოების აზრის და სურვილის გამოკვლევა. მხოლოდ ამ საგანზე არასფერი ეკითხება ს. ვარცეს, რომელსაც არც ძველად ქონია და არც ახლა აქვს არავითარი მონაწილეობა კაცხის მონასტერში.

**დამსწრე.**

## მოწერილი ამბები

**ქ. ოჩემჩირე** 11 ნოემბერს ქ. ოჩემჩირეში გაიმართა არჩევნების წინასწარი მიტინგი. აუარებელი ხალხი შეიკრიბა ნორმალურ სკოლის ეზოში. მშვენიერი დღე იყო, თბილმა ჰაერმა, მშვიდ და წყნარ ზღვის ზედაპირზე მოციმციმე მზის სხივებმა და თანამედროვე მომენტმა ჩვენი პარტიების ორატორები ერთი ორათ აქცია და აღფრთოვანებული გამოიყვანა სალაპარაკოთ.

პირველათილაპარაკა ეროვნულ დემოკრატიის პარტის მხრივ თეოფ. ხუსკივაძემ შემდე ს. დემოკრატების მხრივ ვ. ქორქოლიანმა, ამის შემდეგ ს. ფედერალ. ნიკ. ჰაპასკირმა და შოლოსკი ს. რევოლ. რუსმა. არც მიტინგზე და არც არჩევნების დროს არაფერს უწესოებას ადგილი არ ქონდა.

არჩევნები გაგრძელდა სამ დღეს. ხალხი ხალისით არ მიდიოდენ არჩევნებზე. პარტიების პროგრამები უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა შეგნებული. როდესაც ვკითხავდით:

—ვის უნდა მისცეთ თქვენი ხმა!

გვიპასუხებდენ

—დემოკრატიასო.

—სიასთვის დემოკრატის და არა სხვასო, კიდევ ვეკითხებოდით

— მიტომ, რომ ეს ზაპისკა* პირველად იმათ მომცესო, ჩემთვის სულ ერთია, სხვას რომ მოეტანა პირველად, ხმას იმას მივსცემდიო. ოჩემჩირეში იყო სულ 1345 ხმა. არჩევნებზე მოვიდა 675 ხმა. აქედან №1 მიიღო—412. №2—19 №3—12, №4—2. №5—70 №6—27 №8—ეროვნულ დემოკრატებმა კი 125 ხმა მიიღეს. აქ ეს პარტია დაიბადა 9 აგვისტოს ამა წლის და თეოფ. ხუსკივაძის ხელმძღვანელობით მუშაობდა დღემდის. ნიადაგი ამ პარტიას, როგორც ყველგან, ისე აქ დიდი აქვს, მაგრამ, რა უშედეგოთ, მქადაგებლები, განსაკუთრებით ახალგაზრდანი არიან საჭირო და დღეს კი ესენი აქეთ სანთლით საძებარი არიან.

აფხაზეთის სოფლებში ჯერ კიდევ არ გათავებულა არჩევნები.

იმედია ეროვნულ დემოკრატები აქ სავსებით გაიმარჯვებენ.

**ოჩამჩირელი.**

## პასუხი ანტონ ოდიშარიას.

11 ოქტომბერს კომისიის სხდომაზე ჩემს წინააღმდეგ გამოსვლის გამო, მე ყოველივე იმ საღამოს თქვენ მიერ ნალაპარაკევი ალვნუსხე ქაღალდზე, გადავეცი ფილიალურ განყოფილების თავმჯდომარეს და მისიას გავუცხადე, რომ ამ ინციდენტის გამო და ყოველივე იმ ცუდი ხმების გამო, რომლებსაც თქვენ ავრცელებენ ქუჩა-ქუჩა ჩემს შესახებ ვიწვევ ოდიშარიას საამხანაგო სასამართლოში და მასთანვე ვთხოვე გადეცა ვისისთვისაც ჯერ არს და რაც შეიძლება მალე გაერჩიათ ეს, საქმე, მაგრამ მან უდროობის გამო შეაგვიანა კრების მოწვევა, ამ დროს კი გამოვიდა თქვენი წერილი, სადაც თქვენ თვითონ მიწვევთ საამხანაგო სასამართლოში, რაზედაც მე თანახმა ვარ. ამასთანავე გიცხადებთ, რომ თქვენ მიერ წამოყენებული ყველა ბრალდებები ჩემ წინააღმდეგ უნდა დამიმტკიცოთ საბუთებით და, თუ რომელიმე არ დამიმტკიცეთ, უნდა გადადგეთ სამსახურიდან ისე, როგორც ცილის მწამებელი.

ამას გარდა, თქვენ არწმუნებთ საზოგადოებას, რომ მასწავლებელთა კორპორაცია ჩემთვის უნდა გამთელდებოდეს პოლიტიკა. ეხლა მე დაბეჯითებით მოვითხოვ ფილიალური განყოფილების თავმჯდომარისაგან, რომ მან სასწრაფოთ კრება მოახდინოს ქალაქის სკოლების მასწავლებლებისა, რომელ კრებაზე, რასაკვირველია, ვერც მე დავესწრები და ვერც თქვენ, ბ. ანტონ, გვიყარონ ორთავეს ფარული კენჭი და რომელი ჩვენგანიც გაამავონ, ის განდევნილ იქნას ჩვენი წრიდან და სამსახურიდან სანამ ჩვენი საქმე გაირჩეოდეს. წინადადება ჩემი ასეთია; ამით გავიგოთ რა აზრისაა ჩვენზე კორპორაცია. თანახმა თუ ხართ წინადადებისა სამი დღის განმავლობაში გამოაცხადეთ გაზეთში.

**მასწავლებელი ნ. მესხი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**


## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. „ |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |

**სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვსპობ სახეზე მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილევს და ყოველ გვარ სახის ავადმყოფობას.

**ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს ანუ ქეტერს, აგრეთვე ცვენას.

ავადმყოფები მიიღება მხოლოთ დილის 10 სათ. 2-მდე.

რჩევა და დარიგება ერთი მან. მისამართი დადიანის შესახვევში კოსტავას სახლი № 17.

**ექიმი** ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე. იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს

ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

**ექიმი**

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

**ექიმები**

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგვის სახლ. ტელეფონი № 135.




ეროვნული ბიბლიოთეკა